საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-549

12/07/2018

ქ. თბილისი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის სარფის (მდინარე მალთაყვიდან მდინარე სუფსამდე) თურქეთის რესპუბლიკის საზღვარის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-12 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ,,საერთაშორისო მნიშვნელობის ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის სარფის (მდინარე მალთაყვიდან მდინარე სუფსამდე) თურქეთის რესპუბლიკის საზღვარის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N17; (07.07.2018წ.)
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #17;(07.07.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი